შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ-დიზაინერული
სტუდია
„ბაზისი XXI“

საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ.№63-ა
ტელ. (+995 032) 295 66 63
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№ 149/14

L.T.D. projecting,
architect-design
studio
„BAZISI XXI“

63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 599) 77 21 77
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„04“ სექტემბერი. 2014წ.

ტექნიკური დასკვნა

ქ. თბილისში, ცაბაძის ქუჩა №19-ში შ.პ.ს. „ბიზნესი“-ს (201943040) არსებული ბაზრობის ტერიტორიაზე ასაშენებელი სავაჭრო ცენტრის შენობის მიმდებარე ნაგებობების კონსტრუქციული თვალსაზრისით ტექნიკური მდგრადობის შესახებ

შ.პ.ს. „ბაზისი-XXI“-ის სპეციალისტების მიერ ვიზუალური გამოკვლევა ჩაუტარდა ზემოთ აღნიშნულ მისამართზე ასაშენებელი სავაჭრო ცენტრის შენობის მიმდებარე ნაგებობების კონსტრუქციული თვალსაზრისით მდგრადობის დასადგენად.

დასაპროექტებელი შენობა ორსართულიანია, სწორკუთხა ფორმის 13,6 x 27,9 მ. სართულის სიმაღლე ცვალებადია, საძირკვლები მონოლითური რკინა-ბეტონის, რომელიც შეკრულია ერთმანეთთან მონოლითური რკინა-ბეტონის კოჭებით. საძირკვლის ძირს წარმოადგენს ბალასტის ფენა H = 20 სმ. სვეტები ლითონის ოთხკუთხა დგარები ზომებით 12,5 x 12,5 x 3,5 მ. დგარები შეკრულია №16, №18 ორტესებრი კოჭებით, სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე, სახურავი თუნუქის ხის ნიენიველებზე.

მიმდებარე ნაგებობები, როგორც ვიზუალური გამოკვლევისას დადგინდა, კონსტრუქციული თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. არ შეიმჩნევა სერიოზული ჰორიზონტალური და ვერტიკალური გამჭოლი ბზარები მზიდ კედლებში, არ აღინიშნება ჯდენები საძირკვლებში.

დასკვნა

ქ. თბილისში, ცაბაძის ქუჩა №19-ში შ.პ.ს. „ბიზნესი“-ს - ზონა 01, სექტორი 13, კვარტალი 07, ნაკვეთი 022/022 (201943040) არსებული ბაზრობის ტერიტორიაზე ასაშენებელი სავაჭრო ცენტრის შენობის მიმდებარედ (მომიჯნავე) ცაბაძის ქუჩის მხრიდან არსებულ შენობებს - როგორც ეს ვიზუალური გამოკვლევისას დადგინდა - მშენებლობის პროცესში უარყოფითი ზეგავლენა არ ემუქრება შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:

1. მშენებლობა წარიმართოს სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;
2. დაბეტონების პროცესში რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს ჩაუტარდეს ვიბრირება და ყურადღება მიექცეს დაბეტონების ხარისხს.
3. მუშა არმატურები შედუღდეს ГОСТ 19293-73-ის მიხედვით.

შ.პ.ს. „ბაზისი-XXI“-ის
გენ. დირექტორი, კონსტრუქტორი 20.3.14 ი. ცერცვაძე

შ.პ.ს. „ბაზისი-XXI“-ის
დირექტორი, კონსტრუქტორი ვ. ჯაფარიძე

სახელმწიფო ლიცენზია

სლც №: 4177

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის განხორციელებაზე

ეძლევა *შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მაზისი XXI"*

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის № 63-ა

მასზედ, რომ მას აქვს უფლება განახორციელოს საპროექტო-სამშენებლო საქმიანობა დანართში მოცემულ სახეობებში.

ლიცენზია მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე

განსაკუთრებული პირობები

ლიცენზიის მოქმედების ვადა *უვადო*

ლიცენზია გაცემულია *11.12.2004წ.*

საქართველოს ეკონომიკური განვითარების
მინისტრის მოადგილე, სპეციალიზებული მუდმივმოქმედი
სალიცენზიო-სანებართვო კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ ლეჟავა

ინფორმაცია საპროექტო და საექსპერტო სამუშაოთა შესახებ

მე, იოსებ შოთას ძე ცერცვაძე, 1979 წლიდან ვეწევი საპროექტო საქმიანობას შ.პ.ს. "თბილქალაქპროექტში". ვთანამშრომლობ შ.პ.ს. "არკოდთან", სადაც ვასრულებ საპროექტო და საექსპერტო სამუშაოებს; ასევე, მიწვევით ვთანამშრომლობ შ.პ.ს. "პროექტთან" საექსპერტო და საპროექტო სამუშაოებზე.

2003 წლიდან ვარ შ.პ.ს. "ბაზისი–XXI"-ის გენერალური დირექტორი

ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტების პროექტები:

- შ.ს.ს. საინჟინრო კორპუსი
- სასტუმრო საქართველოს რეკონსტრუქცია
- ძველი თბილისის (ბარათაშვილი, კიბალჩიჩი) რეკონსტრუქცია
- საჩხერის მიწისძერით დაზიანებული სახლების აღდგენა
- ფირმა "ელიზი"-ს კომპლექსი
- საბავშვო ბაღი მოსკოვის გამზირზე

გოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული საექსპერტო სამუშაოები:

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ლიხაურის ქ-ზე;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მუხიანის გამზირზე;
- მრავალფუნქციური შენობა გულუას ქ. №1 ("ორთაჭალის ვარსკვლავი")
- გოგი დოლიძის ქ. №13 მანსარდის მოწყობა
- თამარ მეფის გამზ. №13 ს/სახლი
- ეკდოშვილის ქ. №2/10 კორპ. №10 ს/ს
- ვაჟა-ფშაველას გამზ. მე-7 კვ. კორპ. №24
- ბულანაურის ქ. №7 ს/ს

მოწოდებულ ინფორმაციას ვადასტურებ:

შ.პ.ს. „ბაზისი XXI"-ის
გენ. დირექტორი /ი. ცერცვაძე/

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობაზე
№4177 სახელმწიფო ლიცენზიის
დანართი

ჩამონათვალი

საპროექტო – სამშენებლო საქმიანობის სახეებისა,
რომელთა განხორციელების უფლება ეძლევა
შპს-ს „ბაზისი XXI“

1. *საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების დაპროექტება (მ.შ. ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და რეკომენდაციების დამუშავება):*
   - საცხოვრებელი შენობები:
   ბ. ხუთსართულიანი (მანსარდის ჩათვლით);
   - საზოგადოებრივი შენობები და ნაგებობები:
   ბ. ხუთ სართულამდე ან 18 მ. სიმაღლის და დახურული სამუალო სირთულის კონსტრუქციის დარბაზები.
2. *სამრეწველო, საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობათა დაპროექტება:*
   - საწარმოო შენობა-ნაგებობები;
   - სამრეწველო ობიექტები:
   ა. მცირე სიმძლავრის.
3. *პროექტების ექსპერტიზა:*
   - საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობები.

გაცემულია 2004 წლის 14 დეკემბერს.

სპეციალიზებული მუდმივმოქმედი
სალიცენზიო-სანებართვო კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ალბერტ ჯანელიძე